ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №228315

ნომერი: AR155514

თარიღი : 01.06.2012

გაცემის თარიღი : 22.06.2012

გაცნობის თარიღი : 25.06.2012

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი დავით აღმაშენებელი , N 96 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გია ხორგუაშვილი პ/ნ 01021017518
- თბილისი თემქა III მ/რ I კვ. კორ. 19 ბ. 36

ორგანიზაცია:

- სს "ჯიპისი აფთიაქი" კოდი: 201991229

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 1012 წლის 01 ივნისის #ar155514 განცხადება, რომლითაც ითხოვთ განმარტებას ძეგლზე ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

პასუხად გაცნობებთმ, რომ აღნშნული განაცხადი არასწორად იქნა რეგისტრირებული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების გრაფაში. მოცემული შინაარსის განაცხადის რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს არქიტექტურის სამსახურის ვებ გვერდზე (www.tas.ge) სამართლებრივი საკითხების გრაფაში და შემდგომ უნდა აირჩიოთ სამართლებრივი განმარტება.

ამასთან, თქვენს განაცხადში დასმულ საკითხთან დაკავშირებით, დამატებით განგიმარტავთ, რომ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად ძეგლზე ჩასატარებელ სარეაბილიტაციო სამუშაოებს განეკუთვნება ძეგლის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული და საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, ამ კანონით დადგენილი წესით ჩატარებული სამუშაოების ერთობლიობა.

ამავე კანონის თანახმად განმარტებულია მცირე სარებილიტაციო სამუშაოების ჩამონათვალი – ფასადის სამღებრო სამუშაოები; აბრებისა და შუქფარების განთავსება; საინჟინრო კომუნიკაციების შეკეთება, გამოცვლა, დამონტაჟება მზიდი კონსტრუქციული ნაწილების ცვლილების გარეშე; ცალკეული არქიტექტურული დეტალების, მათ შორის, ღიობების, კიბეების, აივნების, დეკორატიული ელემენტების სახეცვლილება, ინტერიერში ჩასატარებელი სარესტავრაციო, სამღებრო ან სარემონტო, ასევე ძეგლის გაწმენდის სამუშაოები, რომლეთა განხორციელების სამართლებრივი საფუძველი, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, არის ძეგლზე სამუშაოების ნებართვა.

ყოველივე აღნშნულის გათვალისწინებით და ვინაიდან, კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე სარეკლამო აბრის განთავსება განეკუთვნება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, იგი საჭიროებს ძეგლზე სამუშაოების ნებარვას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge